”საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემის რეფორმის დინამიკის მიმოხილვა (2018-2024 წლებში)”

ალექსანდრე გორდეზიანი

ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქიატრიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფჯ-ის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მახაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ალექსანდრე გორდეზიანი
20.06.2024

აბსტრაქტი

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ”საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემის რეფორმის დინამიკის მიმოხილვა (2018-2024 წლებში)” იკვლევს საქართველოში მიმდინარე ფსიქიკური ჯანრთელობის (ფჯ) სისტემის რეფორმას ბოლო შვიდი წლის (2018-2024 წწ.) განმავლობაში, ცდილობს აჩვენოს რეფორმის ფარგლებში განხორციელებული სექტორული ცვლილებები ჰოსპიტალური და ჰოსპიტალ-გარე სერვისების თვალსაზრისით და შეაფასოს მიმდინარე პროცესები. ჩვენ მიზნად დავისახეთ, გაგვეანალიზებინა ფჯ-ის სფეროს აღნიშნული პერიოდის პროგრამები და ბიუჯეტი; გვეკვლია, როგორ იცვლება ფჯ-ის სერვისების თანაფარდობა დაბალანსებული ზრუნვის მოდელის შესაბამისად და გამოგვევლინა მნიშვნელოვანი ტენდენციები სათემო და ჰოსპიტალური სერვისების განვითარების კუთხით. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, გამოვიყენეთ სამაგიდე და თვისებრივი კვლევის მეთოდები, რომელთა ფარგლებშიც გავაანალიზეთ შესასწავლი პერიოდის რეფორმის წინაპირობები, კონტექსტი და სერვისების განვითარების და მათი ბიუჯეტირების დინამიკა. თვისებრივი კვლევის ფარგლებში, სფეროს ექსპერტთა ინტერვიუირების გზით შევისწავლეთ რეფორმის პრაქტიკულად განხორციელების შედეგები, გამოვავლინეთ მნიშვნელოვანი მიღწევები და არსებული ძირითადი გამოწვევები.

კვლევის შედეგები გვაჩვენებს საქართველოს ფჯ-ის სერვისების მიმდინარე რეფორმის განხორციელების რეალურ სურათს, და არსებულ გამოწვევებს. ჩვენ ვიძლევით რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა მიმდინაობდეს რეფორმა, რომ საქართველოს ფჯ-ის სერვისების სისტემამ დააკმაყოფილოს შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები.

ძირითადი საკვანძო სიტყვები: ფსიქიკური ჯანმრთელობა, ფჯ სერვისები, სათემო მომსახურება, ჰოსპიტალური მომსახურება, რეფორმა.

Abstract

The master's thesis "Overview of the Dynamics of the Mental Health System Reform of Georgia (2018-2024)" looks at how Georgia's mental health (MH) system has changed over the past seven years (2018-2024). It evaluates the current procedures and demonstrates the sectoral changes that have been implemented within the reform's framework regarding hospital and non-hospital services. Our objective was to examine the MH programs and budgets throughout the specified time frame. We study how the balanced care model affects the ratio of MH services and highlight significant changes in both community and hospital service development. We used Desk research and Qualitative methodologies, based on the goal of the study, to examine preconditions, context and dynamics of the development of services and their budgeting during the study period. By conducting in-depth interviews with subject matter experts, we examined the outcomes of the reform's actual implementation within the context of qualitative research, highlighting both significant accomplishments and ongoing obstacles. The study's findings provide us with an accurate image of Georgia's MH care reform as well as an overview of its ongoing difficulties. We suggest recommendations on how reform should go forward in order to bring Georgia's MH services system up to date with applicable international standards.

Key Words: Mental Health, MH Services, Community Service, Hospital service, reform.

მადლობა

დიდ მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, ნინო მახაშვილს, ნდობისა და ნაშრომის მომზადების პერიოდში გაწეული მხარდაჭერისთვის.